საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

მოწმობა

M 24636

სასაქონლო ნიშანი:

G-Force

მფლობელი:
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია

ირაკლი ღვალაძე
თავმჯდომარე

ერთფეხიანი ფასების მაჩვენებელი აბრა



ხელშეკრულება იხ. შემდეგ გვერდზე

ხელშეკრულება
(ნებართვის გაცემის შესახებ)

ქ.თბილისი 1 ივნისი, 2017 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება ნებართვის გაცემის შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია ქ. თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ: შპს "აუთდორ.ჯი" (ს/კ: 205255917; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი - 05 ივნისი 2008 წელი; იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ, #17, ბ.#1) (შემდგომში "ნებართვის გამცემი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ პერტაიას (პირადი # 35001083818) მიერ

და

მეორეს მხრივ: შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" (ს/კ: 404391136; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი – 26.11.2010 წელი, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.,#34, სართ.,#6) (შემდგომში "ნებართვის მიმღები") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დევაძის (პირადი #01015011187) მიერ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„ნებართვის გამცემი" და `ნებართვის მიმღები~ შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე – როგორც „მხარე".

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2009 წლის 03 აპრილის # 01 ოქმის/ნებართვის საფუძველზე და მის თანხმად, "ნებართვის გამცემი" კისრულობს ვალდებულებას, "ნებართვის მიმღებს" მისცეს ნებართვა, ხელშეკრულების დანართ #1-ის შესაბამისად სარეკლამო აბრების/კონსტრუქციის განსათავსებლად. აბრის/კონსტრუქციის განთავსებას და მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობას უზრუნველყოფს "ნებართვის მიმღები". 1.2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის პერიოდი განისაზღვრება **2017 წლის 1 ივნისიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით** პერიოდში.

მუხლი 2. საზღაური და გადახდის წესი

2.1. ხელშეკრულების სრული საზღაური შეადგენს 62,400.00 (სამოცდაორი ათას ოთხასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.2.2. სახელშეკრულებო საზღაურის გადახდა მოხდება კვარტალურად – კვარტალში 15,600.00 (თხუთმეტი ათას ექვსასი) ლარის გადახდით, დღგ-ს ჩათვლით.2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ 2.1. პუნქტით განსაზღვრული საზღაური არის ფიქსირებული და მისი ნებისმიერი მიზეზით გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში.2.4. საზღაურის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების გაფორმებით და არ არის დამოკიდებული სარეკლამო აბრის განთავსებაზე. 2.5. საზღაურის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით "ნებართვის გამცემი"-სშემდეგ საბანკო ანგარიშზე:

სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის ნომერი: # GE29TB0676136020100003

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში.

3.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან კონფიდენციალურობა ამ ხელშეკრულებაზე, ე.ი. არ დაუშვან ამ ხელშეკრულების პირობებზე სხვა პირებისათვის ინფორმაციის გავრცელება.

3.4. ნებართვის მიმღების მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საზღაურის გადახდის 10 სამუშაო დღით მეტი, ვადის დარღვევის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, ხოლო ნებართვის მიმღები ვალდებულია გადაუხადოს ნებართვის გამცემს ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე გადასახდელი საზღაურის 0.02%-ი პირგასამტეხლოს სახით.

3.5. ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების 10 (ათი) საბანკო დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში,

სანქციის გადახდის შესახებ (პირგასამტეხლო) გადაუხდელი საზღაურის 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის, დაწყებული ვადაგადაცილების მეორე კალენდარული დღიდან. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მიმღები 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში არ დაადასტურებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას ან არ წარმოადგენს დასაბუთებულ პრეტენზიას შესაბამისი მტკიცებულებებით, მომსახურება ნებართვის გამცემის მხრიდან ჩაითვლება გაწეულად ნებართვის მიმღების თანხმობის გარეშეც და ნებართვის მიმღები არ არის უფლებამოსილი გაწეულ მომსახურებაზე წარადგინოს პრეტენზია. გარდა წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულისა, დავის შემთხვევაში ნებართვის გამცემმა შესრულება დამატებით შეიძლება დაადასტუროს როგორც, ხელშეკრულების, ინვოისის, ანგარიშ-ფაქტურის, თუ მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერით, ისე ფაქტობრივი შესრულებით.

3.6. რომელიმე მხრის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით ჯარიმის სახით გადახდა.

3.7. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით „ნებართვის მიმღები“ იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, მესამე პირების მიერ გამოთქმულ ყველა სახის პრეტენზიასა თუ ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში წამოჭრილ ყველა დავას (მათ შორის თბილისის მერიისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ნებისმიერ სამსახურის მიერ) გადაწყვეტს საკუთარი ძალებითა და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით.

3.8. ნებართვის გამცემი არ არის პასუხისმგებელი განთავსებული სარეკლამო აბრის შინაარსა და მის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მიმღების მიერ სარეკლამო აბრასა თუ მანიშნებელზე დატანილი წარწერებისა თუ გამოსახულების გამოყენების გამო (აქვე მოიაზრება ქართველი და/ან უცხოელი ავტორების საავტორო უფლებების დარღვევა) ნებართვის გამცემს დაუდგება მესამე პირების მიმართ რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ნებართვის მიმღებს ნებართვის გამცემის სასარგებლოდ დაეკისრება ამ უკანასკნელის მიერ მესამე პირებისათვის ანაზღაურებული ზიანის სრული ოდენობით კომპენსაცია.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.

4.2. “დაუძლეველი ძალის” ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობს ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ: კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარი (16 მ/წმ), აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები და სხვა გარემოებები.

4.3. ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ვალდებულია ამ გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

4.4. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

4.5. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

4.6. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 5. შეთანხმება მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების სხვა პირისათვის გადაცემა შეთანხმების გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 6. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

6.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არ აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არ აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითხზე მხარეები ერთმანეთში კორესპონდენციას გაცვლიან შეტყობინებების მეშვეობით. შეტყობინების ფორმა უნდა იყოს წერილობითი ქართულ ენაზე, რომელიც მხარეებს გადაეცემა:

ა) პირადად, ან

ბ) ფაქსით, ან

გ) დაზღვეული ფოსტით, ან

დ) კურიერის მეშვეობით.

7.2. შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იქნეს შესაბამისი მხარის უფლებამოსილი პირის მიერ, იგი მიმართული უნდა იყოს იმ მხარის უფლებამოსილი პირისადმი, რომელსაც ეს შეტყობინება უნდა გადაეცეს და მიწოდებული უნდა იქნეს პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომელიც მოცემულმა მხარემ შეატყობინა მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების თანახმად.

7.3. შეტყობინება პირადად გადაცემულად ითვლება მისი მხოლოდ ხელიდან ხელში გადაცემისა და შეტყობინების მეორე ასლზე მიმღების ხელმოწერის შემთხვევაში, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.

7.4. შეტყობინება ფაქსით მიწოდებულად ჩაითვლება მსგავსი საშუალებების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.

7.5. შეტყობინება დაზღვეული ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მიწოდებულად ჩაითვლება ფოსტის მოხელის ან კურიერის მიერ მისი (შეტყობინების) მეორე მხარისათვის ოფიციალურად ჩაბარების მომენტიდან, რაც მითითებული იქნება კურიერის ან ფოსტის მოხელის მიერ შეტყობინების გადაცემის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერში და დადასტურებული იქნება მიმღების მიერ, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.

7.6. შეტყობინება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს ჩაითვლება ბათილად და მას არ გააჩნია იურიდიული ძალა. შეტყობინება, რომელიც არ იყო მიწოდებული ამ მუხლის თანახმად არ ითვლება გაგზავნილად.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

8.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავისა და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

9.2. მხოლოდ „უფლების მიმღებია“ უფლებამოსილი „უფლების გამცემისათვის“ 15 (თხუტმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიცემის შემდეგ, ვადამდე ადრე, ნებისმიერი მიზეზით, ყოველგვარი კომპენსაციისა და პირგასამტეხლოს გარეშე, ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და მისი ნაწილი (ნაწილში იგულისხმება განთავსებული სარეკლამო აბრების/კონსტრუქციების, დაკლების შემთხვევა).

9.3. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე ვერ ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს შეწყვეტამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების

შესრულებისგან, თითოეული მხარე ვალდებულია დაფაროს მეორე მხარის მიმართ არსებული ნებისმიერი მხარის ფულადი ვალდებულება.

9.4. ხელშეკრულების შეწყვეტა ასევე შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;

9.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ბრალეული მხარე მეორე მხარეს უნაზღაურებს ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს.

9.6. მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან, ხოლო "უფლების გამცემი" ადასტურებს, რომ მას არ აქვს ხელშეკრულების, ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება, გარდა 9.3. პუნქტში განსაზრვრული შემთხვევისა.

9.8. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში „ნებართვის მიმღები" ვალდებულია 10 დღის ვადაში მოახდინოს სარეკლამო აბრის (კონსტრუქციის) დემონტაჟი.

9.9. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია სარეკლამო აბრის (კონსტრუქციის) დემონტაჟამდე `ნებართვის გამცემს~ გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების პროპორციული თანხა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად, და ინახება მხარეებთან.

10.2. ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მხოლოდ მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემთხვევაში.

10.3. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ მოქმედებს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლების ნამდვილობაზე.

10.4. მხარეები ხელშეკრულებაძე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

მუხლი 11. მხარეთა ხელმოწერები

"ნებართვის გამცემი"

შპს ,,აუთდორ.ჯი"
ს/კ: 205255917
ფაქტ.მის: ქ.თბილისი, ყიფშიძის 2ა, მე-4 სართული

დირექტორი:
ზურაბ პერტაია ----------

"ნებართვის მიმღები":

შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"
ს/კ: 404391136
ფაქტ.მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34, სართ 6.

დირექტორი:
გიორგი დეკაძე ----------

დანართი #1

N	მისამართი	სტელა-რაოდენობა	დიდი მანიშნებელი რაოდენობა	კვ.მ.	1თვის ჯამური ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით		12თვის ჯამური ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	
1	გლდანი; ქ.თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო გლდანის გამზირი	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
2	[illegible] 96; ქ.თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
3	დიღომი მ; ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე 12 კმ.	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
4	ვეძისი; ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. მეცნიერების ინსტიტუტის მიმდებარედ	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
5	[illegible]; ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გადაკვეთაზე	1	-	4.5	GEL	400.00	GEL	4,800.00
6	[illegible]; ქ.თბილისი, ცენტრალური საცურაო [illegible] სამქროს მიმდებარედ	-	1	5	GEL	400.00	GEL	4,800.00
7	ორთაჭალა; ქ.თბილისი, დიდი ხევის ქუჩაზე არსებული [illegible] მისასვლელი გზის მიმდებარედ	1	-	4.5	GEL	400.00	GEL	4,800.00
8	სანაპირო; ქ.თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო ყოფილი [illegible] მიმდებარედ	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
9	[illegible]; ქ.თბილისი, კოსტავას N59	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
10	[illegible]; ქ.თბილისი, სოფელი დიღომი [illegible]	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
11	[illegible]; ქ.თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო წყალსაქაჩის მიმდებარედ	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
12	[illegible]; ქ.თბილისი, [illegible] N4	1	-	11	GEL	400.00	GEL	4,800.00
13	ბოტანიკა; ქ.თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა ბოტანიკის ინსტ. მიმდებარედ	1	-	2	GEL	400.00	GEL	4,800.00
				115	GEL	5,200.00	GEL	62,400.00

"ნებართვის გამცემი"	"ნებართვის მიმღები"
შპს ,,აუთდორ.ჯი"	შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"
ს/კ: 205255917	ს/კ: 404391136
ფაქტ.მის: ქ.თბილისი, ყიფშიძის 2ა, მე-4 სართული	ფაქტ.მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34, სართ 6.
დირექტორი: ზურაბ პერტაია ----------------	დირექტორი: გიორგი დევაძე ----------------